განმცხადებელი: ფირუზ ბოლქვაძე, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო
თარიღი: 12-11-2020

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 2;პრინციპი 5;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: თეო ფუტკარაძე, ჟურნალისტი, სამაუწყებლო კომპანია "TV 25" / სულხან მესხიძე, რედაქტორი, სამაუწყებლო კომპანია "TV 25"–ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი

სადავო მასალა: "აჭარის მაუწყებლზე მეტწილად ხელისუფლების მაქებარი გადაცემები შემორჩა" / 16 ოქტომბერი 2020 წ. / სამაუწყებლო კომპანია "TV 25" / https://tv25.ge/news.php?lang=ge&id=24606

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება:

1. **პირველ პრინციპთან** დაკავშირებული დარღვევები: ტექნიკური გადაიარაღებისა და ახალი სტუდიის მოწყობის გამო, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში ახალი სეზონი არ დაწყებულა სექტემბერში, დაიწყო 9 ნოემბერს. შესაბამისად, სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია, რომ თითქოს "აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ახალი სატელევიზო სეზონი სექტემბრიდან დაიწყო", არ შეესაბამება სინამდვილეს; გადაცემა "ჰეშთეგი", სხვა საავტორო გადაცემებთან ერთად, დროებით შეჩერდა (და არა დაიხურა), მიმდინარე წლის ივლისში, სატელევიზიო სეზონის დასრულების გამო. შესაბამისად, სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია, რომ თითქოს "მენეჯმენტის ინტერესებიდან გამომდინარე პროგრამა წინასაარჩევნოდ დაიხურა", არ შეესაბამება სინამდვილეს. მითუმეტეს, რომ გადაცემა "ჰეშთეგი", ახალი სატელევიზიო სეზონის დასრულების შემდეგ, სეზონის განახლებამდე, ეთერში, არც გასულ წლებში გადიოდა; ამასთან, სინამდვილეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თითქოს გადაცემა "ჰეშთეგი" ეთერში შემცირებული ქრონომეტრაჟით გავიდოდა. შემცირდა არა ქრონომეტრაჟი, არამედ გადაცემების რაოდენობა, რაც საეთერო ბადეში, იგივე საეთერო დროს, ახალი პროექტების გაჩენას უკავშირდებოდა; გადაცემების "მთავარი აჭარაში" და "კვირის მთავარი" ეთერში გასვლა დაკავშირებული იყო სეზონის განახლებასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ობიექტური მიზეზების გამო, სეზონი დაიწყო დაგვიანებით, 9 ნოემბრიდან. შესაბამისად, სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია, რომ თითქოს: "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საეთერო ბადეში სექტემბრიდან არც გადაცემა "მთავარი აჭარაში" და „კვირის მთავარი“ დაბრუნებულა", არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ამ პერიოდისთვის ახალი სეზონი დაწყებული არ ყოფილა. ამასთან, ეს გარემოება სიუჟეტში ისეა წარმოჩენილი, რომ, თითქოს აღნიშნული გადაცემები საერთოდ დაიხურა. ფაქტია, რომ გადაცემა "მთავარი აჭარაში" ეთერში ახალი სეზონის გახსნიდან მალევე, 10 ნოემბერს გავიდა. შესაბამისად, "TV 25"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ამ ნაწილში, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს; მოცემულ სიუჟეტში, ავტორის მიერ, ნახსენებია მხოლოდ ოთხი გადაცემა, რომლებიც ეთერში სატელევიზიო სეზონის განახლებისთვის მზადების გამო დროებით აღარ გადიოდა. თუმცა, შემაჯამებელ ტექსტში ავტორი ამტკიცებს, რომ ასეთ გადაცემათა რიცხვი ექვსია. სინამდვილეში, გადაცემათა რიცხვი, რომლებიც ეთერში სატელევიზიო სეზონის დასრულების გამო აღარ გადიოდა, გაცილებით მეტი იყო. შესაბამისად, სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია, რომ თითქოს "ჯამში, ახალ სატელევიზიო სეზონზე,

მაყურებელმა ექვსი გადაცემა ვეღარ იხილა", არც სეზონის ნაწილში (სეზონი დაიწყო ნოემბერში და არა სექტემბერში) და არც გადაცემების რაოდენობის ნაწილში, არ შეესაბამება სინამდვილეს; სატელევიზიო სეზონის განახლებისთანავე ეთერში გავიდა სამედიცინო გადაცემა "იმპულსი". შესაბამისად, სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია, რომ თითქოს "საეთერო ბადეს გამოაკლდა "იმპულსი"", არ შეესაბამება სინამდვილეს.

2. **მეორე პრინციპთან** დაკავშირებული დარღვევები: ჩემთვის ცნობილია, რომ სიუჟეტის ავტორი, ჟურნალისტი თეო ფუტკარაძე, რომელიც კარგად და დეტალურად იყო ინფორმირებული საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში ცალკეული გადაცემების დროებით შეჩერების მიზეზებსა და მათი ეთერში დაბრუნების პერსპექტივებზე, წინააღმდეგი იყო სიუჟეტში ყოფილიყო ჩემს მიერ მითითებული უზუსტობები. თუმცა, რედაქტორისა და საინფორმაციო სამსახურის უფროსის, სულხან მესხიძის კატეგორიული მოთხოვნისა და ზეწოლის შედეგად, ის იძულებული გახდა წასულიყო საკუთარი სინდისის წინააღმდეგ და სიუჟეტი მოემზადებინა იმ ფორმით, რა ფორმითაც გავიდა ეთერში და რა ფრომითაც არის წარმოდგენილი აქ. შესაბამისად, ამ ნაწილში, ეთერში გასული უზუსტობების გამო, სრული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სულხან მესხიძეს.
3. **მეხუთ პრინციპთან** დაკავშირებული დარღვევები: სიუჟეტის ეთერში გასვლამდე და გასვლის შემდეგაც, მასალაში ჩვენს მიერ აღწერილი უზუსტობების არსებობა ცნობილი იყო, როგორც ჟურნალისტისთვის ასევე რედაქტორისა და საინფორმაციო სამსახურის უფროსისთვის, თუმცა, მათ, არც მანამდე და არც შემდგომ არ მიუღიათ ზომები საზოგადოებისთვის ჯერ მისაწოდებლად გამზადებული, შემდგომში კი უკვე მიწოდებული მცდარი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციების გასასწორებლად.
4. **მეთერთმეტე პრინციპთან** დაკავშირებული დარღვევები: სიუჟეტის ავტორ, ჟურნალისტ თეო ფუტკარაძეს, ჩემს, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლის მიერ, ნათლად განემარტა, რომ რიგი გარემოებების გამო ახალი სატელევიზიო სეზონი გაიხსნებოდა ნოემბრის პირველ რიცხვებში და არ იყო გახსნილი სექტემბერში. მიუხედავად ამისა, ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ აჭარის ტელევიზიამ ახალი სატელევიზიო სეზონი დაიწყო სექტემბერში; ჟურნალისტს ნათლად განვუმარტეთ, რომ "ჰეშთეგის" და სხვა საავტორო გადაცემების დროებით ეთერში არგასვლა უკავშირდებოდა 2019–2020 წლების სატელევიზიო სეზონის დასრულებას და ახალი სატელევიზიო სეზონის გახსნისთვის მზადებას. ამავე დროს მას მიეწოდა დაზუსტებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ჰეშთეგი" ეთერში დაბრუნდებოდა სრული ქრონომეტრაჟით, ოღონდ შემცირებული რაოდენობით. მიუხედავად ამისა, სიუჟეტში გვესმის ავტორის მტკიცება, რომ აღნიშნული გადაცემის ეთერში არგასვლა უკავშირდებოდა წინასაარჩევნო პერიოდს და ეთერში დაბრუნების შემდეგ შემცირდებოდა როგორც გადაცემათა რაოდენობა ასევე ქრონომეტრაჟი; გადაცემებზე "მთავარი აჭარაში" და "კვირის მთავარი" ჟურნალისტს განემარტა, რომ მიმდინარეობდა მსჯელობა თუ რა ფორმით გავიდოდა ისინი ეთერში ახალ სეზონზე ანუ მიმდინარეობდა მსჯელობა ფორმატზე. მიუხედავად ამისა, სიუჟეტში განვითარებულია ნარატივი, რომ თითქოს ორივე გადაცემა დაიხურა და ისინი ახალ სატელევიზიო სეზონში აღარ იქნებოდნენ სატელევიზიო ბადეში. ფაქტია, რომ "მთავარი აჭარაში" ეთერში უკვე გადის. შესაბამისად, გაუგებარია რატომ გაუსწრო მოვლენებს და რაში დასჭირდა ჟურნალისტს საზოგადოების შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება; ინტერვიუს ჩაწერისას ჟურნალისტს ნათლად განემარტა ისიც, რომ "ჰეშთეგის" და სხვა სიუჟეტში ნახსენები გადაცემების გარდა, ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებამდე ეთერში არ გადიოდა კიდევ რამდენიმე საავტორო გადაცემა. თუმცა სიუჟეტში ნათლად ჩანს გადაცემების დახურვაზე აქცენტირებული რიცხვებით მანიპულაცია, რითაც ადგილი აქვს მცდელობას შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ თითქოს მაუწყებელმა 10–მდე გადაცემა დახურა. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სიუჟეტის ამ ნაწილში არაზუსტია, როგორც გადაცემათა რაოდენობა, ასევე მათი დახურვისა და შენარჩუნების შესახებ მოყვანილი ინფორმაციაც. რაც შეეხება გადაცემა "იმპულსს", ჟურნალისტს ასევე ნათლად განემარტა, რომ

აღნიშნული გადაცემის დახურვის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ იყო სიმართლე და ახალი სეზონის დაწყებისთანავე ის აუცილებლად გავიდოდა ეთერში. უფრო მეტიც, აღნიშნული "TV 25"-ს დაუდასტურა თავად ავტორმა ირაკლი ფარულავამაც. მიუხედავად ამისა, სიუჟეტში ვისმენთ, რომ "იმპულსი" გამოაკლდა საეთერო ბადეს, რაც აშკარა სიცრუეა და ეს უტყუარი მტკიცებულებითაც დადასტურდა – "იმპულსი" უკვე გადის ეთერში; ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენელი, მივიჩნევ, რომ ჩვენს მიერ ჟურნალისტ თეო ფუტკარაძის სიუჟეტში შენიშნული და აღწერილი უზუსტობები არ იყო შემთხვევითი. ეს ყველაფერი მოხდა განზრახ და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მოქმედი მენეჯმენტისა და მთლიანად არხის დისკრედიტაციას. ამ ეჭვს ამყარებს ისიც, რომ ეს აჭარის მაუწყებელზე "TV 25"-ის თავდასხმის და მცდარი და საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელების პირველი შემთხვევა არ ყოფილა და სულხან მესხიძის უშუალო მითითებით და დავალებით, მსგავსი მასალები, მისდამი დაქვემდებარებულ ჟურნალისტებს ბოლო პერიოდში არაერთხელ მოუმზადებიათ. შესაბამისად, სახეზეა ფაქტების განზრახ დამახინჯება და ამას შესაბამისი შეფასება აუცილებლად უნდა მიეცეს.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები